საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N17 ზონაში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) და პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დამოწმებული, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

N	**წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი**	
1	**პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები)**	დანართი N1
2	**ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)**	დანართი N4
3	**ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ**	ცხრილი N1
4	**ინფორმაცია 01.01.2013-დან 01.09.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ:**	ცხრილი N3
7	**ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ** (არსებობის შემთხვევაში)	ცხრილი N6
8	**ინფორმაცია ზამთრის პერიოდში საყრდენი პუნქტების მოწყობის შესახებ** (წარმოდგენილ უნდა იქნას საყრდენი პუნქტების განლაგების სქემა)	დანართი N3

2.2 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

2.2.1 იურიდიული პირებისთვის:

(1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ;

(3) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

(4) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ან მისმა ფილიალმა დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის (სათაო) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომელიც (რომლებიც) დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2.2.2 ფიზიკური პირებისთვის:

(1) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

(2) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში რესგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

2.3 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, შემსყიდველი ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.4 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ჟ), (რ) ან (ტ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

2.5 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 160 კალენდარული დღით, ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

2.6 წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.6.1 <u>ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.</u>

- პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ლიზინგი, ქირა, თხოვება და ა.შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების **3.10 პუნქტით** განსაზღვრული მანქანა-მექანიზმები. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N1-ის** შესაბამისად.
- შემყიდველი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე პირს მოსთხოვოს **ცხრილი N1-ში** შეტანილი პოზიციების მიხედვით სარეგისტრაციო მოწმობების ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები (აუდიტის დასკვნა, ან სხვა დოკუმენტაცია) წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მოცემული მომენტისათვის საკუთრების არსებობას და სადაც მითითებული იქნება ტექნიკის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; ასევე, სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული მანქანა-მექანიზმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი უნდა იქნას ლიზინგის შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ლიზინგის გამცემის მიერ გაცემული წერილობითი ინფორმაცია (ცნობა ან/და რეკომენდაცია) ლიზინგის ხელშეკრულების მიმდინარეობის შესახებ. ხოლო, ინფორმაცია სხვა დანარჩენი ფორმით მანქანა-მექანიზმების ფლობის შესახებ მითითებული უნდა იყოს მხოლოდ **ცხრილი N1-ში.**
- შემსყიდველი უფლებამოსილია ტენდერის მიმდინარეობისას, შერჩევა/შეფასების ეტაპზე მოახდინოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმების ვიზუალურად დათვალიერება და ტექნიკური გამართულობის (ვარგისიანობის) შესახებ ინფორმაციის მოძიება.

ცხრილი N1 - ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ				
N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა		მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
		მოდელი	გამოშვების წელი	(საკუთარი / იჯარა)
1				
2				
3				
...				
n				

2.6.2 <u>ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2013-დან 01.09.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.</u>

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს (ქვეკონტრაქტორთან ერთად ასეთის არსებობის შემთხვევაში) 01.01.2013-დან 01.09.2016-მდე პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები *(საავტომობილო გზების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია ან/და პერიოდული შეკეთება ან/და მიმდინარე შეკეთება)* საერთო ჯამური ღირებულებით, <u>არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების - 60%-ს ოდენობისა;</u>
- 01.01.2013-დან 01.09.2016-მდე პერიოდში შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ქვეკონტრაქტორის გარეშე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით <u>არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 10%-ის ოდენობისა.</u>
- **ცხრილი N3-ში** შეტანილი ანალოგიური ტიპის სამუშაოების თითოეული პოზიციის მიხედვით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები).

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ცხრილი N3-ის სახით.

ცხრილი N3 - ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2013-დან 01.09.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ						
N	სამუშაოების დასახელება (თითოეული ხელშეკრულების დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	შემსყიდველის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა)	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1						
2						
3						
...						
	ჯამი					

- შემყიდველი უფლებამოსილია, ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დადგენის მიზნით, პრეტენდენტს დამატებით მოსთხოვოს **ცხრილი N3-ში** შეტანილი თითოეული პოზიციის მიხედვით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დოკუმენტის - **ფორმა N2-ის** წარმოდგენა.

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ცხრილი N3-ის სახით.

2.6.3 <u>ინფორმაცია ზამთრის პერიოდში საყრდენი პუნქტების მოწყობის შესახებ</u>

- პრეტენდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს ზამთრის პერიოდში საყრდენი პუნქტების განლაგების სქემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე ტენდერის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ პირობებს **დანართი N3-ის** შესაბამისად.

2.6.4 <u>ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.</u>

- ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია **ცხრილი N6-ის მიხედვით, რომელიც მოიცავს** ქვეკონტრაქტორის დასახელებასა და მისამართს; შესასრულებელი სამუშაოების დასახელებას; შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებასა და ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებას; ობიექტებს, რომელზეც ქვეკონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები - სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა.

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

- ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – **„შავი სია“.**
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხური საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშულო წლიური ბრუნვა, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს არა აქვს უფლება გამოიყენოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ქვეკონტრაქტორი კომპანია.
- შემსყიდველი უფლებამოსილია ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდეტს დამატებით მოსთხოვოს ქვეკონტრაქტორის მიერ წერილობითი დადასტურება, შემსყიდველისათვის ტენდერის პირობებით მომსახურების გაწევის მზადყოფნის შესახებ.

ცხრილი N6 - ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ				
N	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვეკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1				
2				
3				
...				
n				

2.7 იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშუალო წლიური ბრუნვა, მანქანა მექანიზმებს ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები. კერძოდ:

2.7.1 სათაო კომპანიის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სათაო ოფისის მიერ ანალოგიური სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მ/ჩ აქტები ან/და დადასტურებული ა/ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების სერთიფიკატები ან/და სხვა ანალოგიური დოკუმენტაცია) **2.6.2 ქვეპუნქტის** მოთხოვნათა დაცვით. ამასთან,

2.7.2 სათაო კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა ანალოგიური დოკუმენტები).

2.7.3 სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერისახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

2.7.4 სათაო კომპანიიდან, მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.

2.7.5 უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას ასევე უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2.8 ტენდერში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმებით ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს ერთ ან რამდენიმე ტენდერში მონაწილეობის მიზნით.

2.8.1 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას მიმწოდებლები აფორმებენ წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მისი ყველა მონაწილე. მონაწილეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება ან მათი ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს. ამასთან, მიმწოდებლები ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებისას ვალდებული არიან, გაითვალისწინონ, რომ:

(1) ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები;

(2) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, დაუშვებელია ამხანაგობის მონაწილის შეცვლა ან დამატება;

(3) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, ამხანაგობიდან მისი ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას;

(4) ამხანაგობა შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე წარმოდგენილი უნდა იყოს მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირით, რომელიც შეირჩევა ამხანაგობის მონაწილეთაგან.

2.8.2 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ამხანაგობა ვალდებულია, დადგენილი წესით, დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე და დარეგისტრირდეს სისტემაში. სისტემაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია ამხანაგობის მონაწილე ყველა მიმწოდებელი იყოს რეგისტრირებული სისტემაში. ამხანაგობის პროფილში მიეთითება მისი მონაწილე მიმწოდებლების რეკვიზიტები და

იტვირთება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში, ატვირთვას ექვემდებარება ამ ხელშეკრულებაში შემდგომი ცვლილებებიც).

2.8.3 ტენდერში ამხანაგობა მონაწილეობას იღებს და სატენდერო წინადადებას წარადგენს, როგორც დამოუკიდებელი პრეტენდენტი. ამხანაგობასა და მის მონაწილეებს ეკრძალებათ ერთსა და იმავე ტენდერში ინდივიდუალურად მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში, ამხანაგობა და მისი მონაწილე/მონაწილეები ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.8.4 ამხანაგობის მონაწილეები უფლებამოსილი არიან, შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სხვადასხვა ნაწილი, თუ შესაძლებელია მათი გამოცალკევება მთლიანი ვალდებულებიდან და დამოუკიდებლად შესრულება, იმგვარად, რომ აღნიშნულმა, ალბათობის მაღალი ხარისხით, არ უნდა გამოიწვიოს საბოლოო შედეგის განადგურება, დაზიანება ან/და შედეგით სარგებლობის შეუძლებლობა. ამხანაგობის მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

2.8.5 ამხანაგობის მიერ სატენდერო პირობების დაკმაყოფილების საკითხი განიხილება შემდეგნაირად:

(1) ამხანაგობის მონაწილეთა ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა დგინდება მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისადმი დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება;

(2) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (მათი მოთხოვნის შემთხვევაში) შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების შესახებ.

2.8.6 თუ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება არ არის გაფორმებული 2.8.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, ამხანაგობამ არ იმოქმედა 2.8.2 ქვეპუნქტის მიხედვით ან/და ამხანაგობის ტექნიკური დოკუმენტაცია არ არის შედგენილი 2.8.4 ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამხანაგობა ექვემდებარება დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.8.7 ტენდერში მონაწილეობა ეკრძალება იმ ამხანაგობას, რომლის მონაწილეც რეგისტრირებულია შავ სიაში.

2.8.8 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

2.8.9 თუ ამხანაგობის მიმართ წარმოიშვა შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი, სააგენტოს სათანადო გადაწყვეტილება მიიღება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.

2.8.10 ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა იწვევს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტას. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები პასუხს აგებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტით დამდგარი შედეგისთვის.

2.8.11 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები, ამ მუხლის თავისებურებათა გათვალისწინებით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

2.9 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

2.10 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების სისტემაში ატვირთვის დაწყების თარიღს. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. შესყიდვაში

მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული და დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

2.11 <u>სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დიკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე):</u>

2.11.1 ფასების ცხრილი-ის (ხარჯთაღრიცხვა) დანართი N4-ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

2.11.2 თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოუმენტაციის 2.6.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (ცხრილი N3 და სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები).

2.12 <u>ანგარიშსწორების პირობები:</u>

2.12.1 სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.12.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სამუშაოების შესრულების შემდეგ ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

2.12.4 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი). ავანსის გაცემის წესი და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში;

2.13 <u>ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:</u>

2.13.1 ტენდერში კონსკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, დანართი N2-ის მიხედვით.

2.13.2 იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%-ის ოდენობით.

2.13.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.14 <u>დამატებითი ინფორმაცია</u>

2.14.1 პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ერთეულის ფასები არც ერთ პოზიციაზე არ უნდა აღემატებოდეს ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა) შემსყიდველის მიერ მითითებულ ფასებს. შემოთავაზებული ერთეულის ფასები უნდა მოიცავდეს სამუშაოს სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. შემსყიდველი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვოს პრეტენდენტს ტენდერში წარმოდგენილი ერთეულის ფასების გაანგარიშებების წარმოდგენა.

2.14.2 პრეტენდენტი ვალდებულია მის მიერ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების პირვანდელ ფასსა და საბოლოო ფასს შორის სხვაობა გამოანგარიშოს პროცენტულად, რომლის მიხედვითაც დაევალება პრეტენდენტს წარმოადგინოს ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებლით კორექტირებული, თითოეული პოზიციის მიხედვით პროპორციულად ფასდაკლებული ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა).

2.14.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. N12, მე-4 სართული. საკონტაქტო პირები:

შალვა ჯულაყიძე **ტელ: +995 32 37 05 08 (284)**
ლევან როსტომაშვილი **ტელ: +995 32 37 05 08 (292)**

3. ტექნიკური პირობები

შესყიდვის ობიექტი:	**N17 ზონაში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) და პერიოდული შეკეთების სამუშაოები**
სავარაუდო ღირებულება:	**4 727 830,36 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით.**
დაფინანსების წყარო:	**2016, 2017, 2018 და 2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი**
CPV კოდი:	**45233140 - გზის სამუშაოები**

3.1 სამუშაოების შესრულების ვადა:

3.1.1 უზრუნველყოს სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან - **5 სამუშაო დღის განმავლობაში;**

3.1.2 სამუშაოების შესრულების ვადა განიასზღვრება: **ხელშეკრულების გაფორმებიდან - 36 კალენდარული თვე.**

3.1.3 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში.

3.1.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3.2 სამუშაოთა შემადგენლობა:

მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების სპეციფიკაცია (ზონა №17)	
მიწის ვაკისი	
1	**გვერდულებზე მასალის დამატება და დატკეპნა**
	ამ პუნქტში შედის გვერდულეზე ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დამატება, მისი დაპროფილება და დატკეპნა განზ. $მ^3$
2	**ბალახის გათიბვა**
	ამ პუნქტში შედის გვერდულებსა და კიუვეტებში ბალახის გათიბვა ნაყარში გატანით. განზ. $მ^2$
3	**კიუვეტების გაწმენდა ხელით ადგილზე გადაყრით**
	ამ პუნქტში შედის კიუვეტების გაწმენდა გრუნტისაგან ხელით, ადგილზე გადაყრით განზომილება $მ^3$.
4	**კიუვეტების გაწმენდა ხელით, დატვირთვა და გატანა ნაყარში**
	ამ პუნქტში შედის კიუვეტების გაწმენდა ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
5	**კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით, დატვირთვა და გატანა ნაყარში**
	ამ პუნქტში შედის გრუნტისაგან კიუვეტების გაწმენდა და შეგროვება გრეიდერით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
6	**კიუვეტების გაწმენდა ექსკავატორით, დატვირთვა და გატანა ნაყარში**
	ამ პუნქტში შედის კიუვეტების გაწმენდა ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
7	**მილების გაწმენდა ხელით ადგილზე გადაყრით.**
	ამ პუნქტში შედის სადრენაჟო მილების გაწმენდა დანალექებისაგან, მილების მიმღები ჭების ჩათვლით, ადგილზე გადაყრით, განზომილება $მ^3$.
8	**მილების გაწმენდა ხელით, დატვირთვა და გატანა ნაყარში.**

	ამ პუნქტში შედის სადრენაჟო მილების გაწმენდა ხელით დანალექებისაგან, მილების მიმღები ჭების ჩათვლით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში. განზომილება $მ^3$.
9	**ჩამონაშალის გაწმენდა ადგილზე გადაყრით.**
	ამ პუნქტში შედის მიწის ვაკისის გაწმენდა მექანიზირებული წესით ფერდობიდან ჩამონაშალი მიწისა და ქვებისაგან, ადგილზე გადაყრით. განზომილება $მ^3$
10	**ჩამონაშალის გაწმენდა ნაყარში გატანით.**
	ამ პუნქტში შედის მიწის ვაკისის გაწმენდა მექანიზირებული წესით ფერდობიდან ჩამონაშალი მიწისა და ქვებისაგან, მათი დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
11	**კლდოვანი ქანების დამუშავება ექსკავატორზე დამონტაჟებული პნევმოჩაქუჩით**
	ამ პუნქტში შედის კლდოვანი ქანების დამუშავება (გაფხვიერება) ექსკავატორზე დამონტაჟებული პნევმოჩაქუჩებით. განზ. $მ^3$
12	**კლდოვანი ქანების ბურღვა-აფეთქება და ადგილზე გადაყრა**
	ამ პუნქტში შედის კლდოვანი ქანის გაფხვიერება შპურების მუხტებით და გაფხვიერებული ქანის გადაყრა ადგილზე მექანიზირებული წესით. განზ. $მ^3$
13	**ფერდობებიდან ლოდების ჩამოწმენდა მეკლდეურების მეშვეობით**
	ამ პუნქტში შედის ფერდობებიდან ლოდების ჩამოწმენდა მეკლდეურების მიერ. განზ. $მ^2$
14	**ლოდებით მიწის ვაკისის გამაგრება**
	ამ პუნქტში შედის ლოდების დატვირთვა, ტარანსპორტირება და მიწის ვაკისის გამაგრება, განზ $მ^3$
15	**გაბიონების მოწყობა.**
	ამ პუნქტში შედის მიწის სამუშაოები, გაბიონის ბადიის მოწყობა და ქვით შევსება, განზ $მ^3$
16	**ძელყორის მოწყობა.**
	ამ პუნქტში შედის მიწის სამუშაოები, მორებისაგან ჯებირის მოწყობა და ქვით შევსება, განზ $მ^3$
	<u>**ხელოვნური ნაგებობები**</u>
17	**ლითონის მილის მოწყობა d=1.0მ**
	ამ პუნქტში შედის მილის ტრანსპორტირება, ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით, ქვესაგები ფენის მოწყობა ხრეშოვანი მასალით, ჰიდროიზოლაციის მოწყობა, მილის მონტაჟი, გრუნტის უკუჩაყრა. განზ გრძ.მ.
18	**ლითონის მილის მოწყობა d=0.7მ**
	ამ პუნქტში შედის მილის ტრანსპორტირება, ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით, ქვესაგები ფენის მოწყობა ხრეშოვანი მასალით, ჰიდროიზოლაციის მოწყობა, მილის მონტაჟი, გრუნტის უკუჩაყრა. განზ გრძ.მ.
19	**ლითონის მილის მოწყობა d=0.5მ**
	ამ პუნქტში შედის მილის ტრანსპორტირება, ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით, ქვესაგები ფენის მოწყობა ხრეშოვანი მასალით, ჰიდროიზოლაციის მოწყობა, მილის მონტაჟი, გრუნტის უკუჩაყრა. განზ გრძ.მ.
20	**რკინაბეტონის მილის მოწყობა d=1მ**

	ამ პუნქტში შედის მილის სექციების ტრანპორტირება, ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით, ქვესაგები ფენის მოწყობა ხრეშოვანი მასალით, მილის სექციებზე და სექციებს შორის შესაბამისი ჰიდროიზოლაციის მოწყობა, მილის მონტაჟი, გრუნტის უკუჩაყრა. განზ გრძ.მ
21	**კედლის და სხვა ელემენტების მოწყობა რკინაბეტონით**
	ამ პუნქტში შედის ქვაბულის დამუშავება, ხრეშოვანი საგების მოწყობა, კედლის (ან სხვა ელემენტების) საძირვლის, ტანის მოწყობა მონოლითური ბეტონით, ჰიდროიზოლაცია და სხვა თანმდევი სამუშაოები, გრუნტის უკუჩაყრა. განზ $მ^3$
22	**კედლის და სხვა ელემენტების მოწყობა ბეტონით**
	ამ პუნქტში შედის ქვაბულის დამუშავება, ხრეშოვანი საგების მოწყობა, კედლის (ან სხვა ელემენტების) საძირკვლის, ტანის მოწყობა ცემენტობეტონის ნარევით, ჰიდროიზოლაცია და სხვა თანმდევი სამუშაოები, გრუნტის უკუჩაყრა. განზ $მ^3$
23	**ლითონის მოაჯირების და სხვა ლითონის ელემენტების მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის ლითონის ახალი მოაჯირების და სხვა ლითონის ელემენტების მოწყობა (შეღებვით). განზომილება ტ.
24	**ხიდის სავალი ნაწილის შეკეთება ხის მასალით**
	ამ პუნქტში შედის ხიდის სავალი ნაწილის, მოაჯირების, თვალამრიდების შეკეთება დახერხილი ხე-მასალით. განზ. $მ^3$
	<u>**გზის სავალი ნაწილი**</u>
25	**ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონის ნარევით სისქით 4 სმ**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებულ ადგილებში ორმოების დამუშავება, ნარჩენების გატანა ნაყარში, ამოსუფთავება, ბიტუმის წაცხება და ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევის დაგება. განზ. $მ^2$
26	**ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონის ნარევით სისქით 5 სმ**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებულ ადგილებში ორმოების დამუშავება, ნარჩენების გატანა ნაყარში, ამოსუფთავება, ბიტუმის წაცხება და ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევის დაგება. განზ. $მ^2$
27	**ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონის ნარევით სისქით 9 სმ**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებულ ადგილებში ორმოების დამუშავება, ნარჩენების გატანა ნაყარში, ამოსუფთავება, ბიტუმის წაცხება და ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევის დაგება. განზ. $მ^2$
28	**გაცვეთილი და დაბზარული ადგილების შესწორება ცხელი ა/ბეტონის ნარევით სისქით 3სმ**
	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან, ბიტუმის ემულსიის მოსხმა და ა/ბეტონის საფარის გაცვეთილი და დაბზარული ადგილების შესწორება ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევით სისქით 3 სმ. განზ. მ2
29	**გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი ასფალტობეტონის ნარევით**
	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან, ბიტუმის ემულსიის მოსხმა და გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევით. განზ. ტონა
30	**შემასწორებელი ფენის მოწყობა ცხელი ა/ბეტონის ნარევით**

	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან, ბიტუმის ემულსიის მოსხმა და შემასწორებელი ფენის მოწყობა ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევით. განზ. ტონა.
31	**ასფალტობეტონის საფარის მოფრეზვა სისქით 4 სმ.**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის მოფრეზვა (სისქით 4 სმ.) დატვირთვა და გატანა ნაყარში. განზ $მ^2$
32	**გზის საფარის საცვეთი ფენის მოწყობა ცხელი ა/ბეტონის ნარევით სისქით 4 სმ.**
	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან, ბიტუმის ემულსიის მოსხმა და საცვეთი ფენის მოწყობა (სისქით 4სმ.) ცხელი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევით. განზ. $მ^2$
33	**გზის სავალი ნაწილის ერთმაგი ზედაპირული დამუშავება (ღორღი ფრაქციით 8-11 მმ)**
	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან და ერთმაგი ზედაპირული დამუშავება ბიტუმის ემულსიის გამოყენებით (ღორღი ფრაქციით 8-11მმ). განზ $მ^2$
34	**გზის სავალი ნაწილის ერთმაგი ზედაპირული დამუშავება (ღორღი ფრაქციით 11-16 მმ)**
	ამ პუნქტში შედის გზის სავალი ნაწილის დასუფთავება მტვრისა და დანალექებისაგან და ერთმაგი ზედაპირული დამუშავება ბიტუმის ემულსიის გამოყენებით (ღორღი ფრაქციით 11-16მმ). განზ $მ^2$
35	**ორმოების შეკეთება ცივი ასფალტობეტონით**
	ამ პუნქტში შედის ზამთრის პერიოდში გზის სავალი ნაწილის ორმოული შეკეთება ცივი ა/ბეტონის ნარევით განზ. ტონა
36	**სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, დატკეპნით, განზ $მ^3$
37	**სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღოვანი გრუნტით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღოვანი გრუნტით (დატკეპნით)განზ $მ^3$
38	**ჩაწყვეტილი ადგილების შევსება გრუნტით**
	ამ პუნქტში შედის ჩაწყვეტილი ადგილების შევსება გრუნტით (დატკეპნით) განზ. $მ^3$
39	**ბზარების შევსება ბიტუმის ემულსიით**
	ამ პუნქტში შედის ბზარების გაფართოვება-ამოსუფთავება და ბიტუმის ემულსიით შევსება განზ. გრძ.მ
40	**საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებული საფუძვლის ამოჭრა (ნაყარში გატანით) და ფრაქციული ღორღით საფუძვლის მოწყობა. განზ. $მ^3$
41	**საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებული საფუძვლის ამოჭრა (ნაყარში გატანით) და ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფუძვლის მოწყობა განზ. $მ^3$
42	**საავტომობილო გზების ყოველდღიური ინსპექტირება და მოწესრიგება**

	ამ პუნქტში შედის გზების ყოველდღიური ინსპექტირება და მოწესრიგება, რაც გულისხმობს გზის სავალი ნაწილის, გვერდულის და კიუვეტების გაწმენდას სხვადასხვა საგნებისაგან, ასევე გზის ელემენტებზე მცირე სახის შეკეთებითი სამუშაოების შესრულებას (გზიდან წყლის მოცილება, საგზაო ნიშნების და ბოძკინტების გასწორება და სხვა). განზ კაცი/თვე
	<u>გზებზე მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები</u>
43	**ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტესივობის გათვლა**
	ამ პუნქტში შედის ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის ორდღიანი (48სთ.) სადღეღამისო გათვლა. განზომილება – რაოდენობა
44	**საგზაო ნიშნების, ხიდის მოაჯირების და ლითონის ზღუდარების შეღებვა**
	ამ პუნქტში შედის საგზაო ნიშნების, დგარების, ხიდის მოაჯირების და ლითონის ზღუდარების გაწმენდა და შეღებვა საღებავით განზ. $მ^2$
45	**პლასტმასის მიმმართველი ბოძკინტების „მბ„ დაყენება**
	ამ პუნქტში შედის პლასტმასის მიმმართველი (დრეკადი) „მბ“ ბოძკინტების დაყენება არსებული ნორმების შესაბამისად განზ. ცალი
46	**ლითონის ზღუდარების, პარაპეტების და გზის სხვა ელემენტების გარეცხვა**
	ამ პუნქტში შედის ლითონის ზღუდარების, პარაპეტების და გზის სხვა ელემენტების გარეცხვა, განზომილება $მ^2$.
47	**დაზიანებული ლითონის ზღუდარების შეკეთება და აღდგენა**
	ამ პუნქტში შედის დეფორმირებული ლითონის ზღუდარების და დგარების მოხსნა, გასწორება-შეკეთება და დაყენება, განზომილება გრძ./მ
48	**ბეტონის პარაპეტების და ბეტონის სხვა ნაკეთობების შეღებვა**
	ამ პუნქტში შედის ბეტონის პარაპეტების და ბეტონის სხვა ნაკეთობების გაწმენდა და შეღებვა წყალემულსიის საღებავით. განზომილება $მ^2$
49	**სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება (ახალი დგარებით). განზომილება ცალი.
50	**არასტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის არასტანდარტული ზომის (ინდივიდუალური დაპროექტების) ახალი საგზაო ნიშნების დაყენება (ახალი დგარებით). განზომილება $მ^2$.
51	**ახალი საგზაო დაფების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის ახალი საგზაო დაფების დაყენება არსებულ დგარებზე, განზომილება $მ^2$
52	**კილომეტრის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის კილომეტრის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების დაყენება ახალ დგარზე განზომილება ცალი.
53	**ახალი რკინა-ბეტონის პარაპეტის დაყენება**
	ამ პუნქტში შედის ახალი რკინა-ბეტონის პარაპეტის შეღებვა, ტრანსპორტირება და მონტაჟი; განზომილება $მ^3$
54	**ახალი ზღუდარების მოწყობა ლითონის ძელებით**

	ამ პუნქტში შედის ახალი ზღუდარების (ლითონის ძელებით, ცინოლ-ალპოლით დაფარული) ტრანსპორტირება და მოწყობა არსებული ნორმებით. განზ გრძ. მ
55	**სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის ქარხნული წესით დამზადებული სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების მოწყობა (არსებული ნორმების მიხედვით). განზომილება. გრძ.მ
56	**ლითონის ზღუდარებზე და ბეტონის პარაპეტებზე კრონშტეინების (შუქამრეკლი აფსკით) დამაგრება**
	ამ პუნქტში შედის ბეტონის პარაპეტებზე და ლითონის ზღუდარებზე კრონშტეინების (შუქამრეკლი აფსკით) დამაგრება. განზ ც
57	**საორიენტაციო ბოძკინტებზე შუქამრეკლი აფსკის გაკვრა**
	ამ პუნქტში შედის საორიენტაციო ბოძკინტებზე შუქამრეკლი აფსკის გაკვრა. განზ ც
58	**მოციმციმე გამაფრთხილებელი შუქნიშანის მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის მოციმციმე გამაფრთხილებელი შუქნიშანის მოწყობა (დგარით). განზომილება ცალი.
59	**ჰორიზონტალური მონიშვნა ერთკომპონენტიანი საგზაო ნიშანსადები საღებავით**
	ამ პუნქტში შედის მოსანიშნი ზედაპირის გასუფთავება და ჰორიზონტალური მონიშვნა ერთკომპონენტიანი ნიშანსადები საღებავით დამზადებული მეთილმეთაკრილატის საფუძველზე, გაუმჯობესებული შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით, ზომით 100-600 მკმ. განზომილება $მ^2$
	<u>**გზის კუთვნილების კეთილმოწყობა**</u>
60	**აგურის წყობით კედლის მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის კედლის მოწყობა აგურით ცემენტობეტონის ხსნარზე. განზ. $მ^3$
61	**ბლოკის წყობით კედლის მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის კედლის მოწყობა სამშენებლო ბლოკით, ცემენტობეტონის ხსნარზე განზომილება $მ^3$
62	**სახურავის მოწყობა მეტალოკრამიტით (ხის მოლარტყვაზე)**
	ამ პუნქტში შედის მეტალოკრამიტის სახურავის და ხის მოლარტყვის მოწყობა ან გამოცვლა. განზ. $მ^2$
63	**კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით**
	ამ პუნქტში შედის კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, განზომილება $მ^2$
64	**კედლების შეღებვა საღებავით**
	ამ პუნქტში შედის კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით, განზომილება $მ^2$
	<u>**არამოცულობითი სამუშაოები**</u>
65	**ამწე მანქანის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის ამწე მანქანის მუშაობა. განზომილება სთ.
66	**გრეიდერის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის პოსტსაბჭოთა წარმოების გრეიდერის მუშაობა. განზომილება სთ
67	**გრეიდერის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის თანამედროვე წარმოების "კატერპილერი", "ჰიუნდაი", "XCMJ" ან სხვა ანალოგიური ტიპის გრეიდერის მუშაობა. განზომილება სთ
68	**ექსკავატორის მუშაობა**

	ამ პუნქტში შედის პოსტსაბჭოთა წარმოების ექსკავატორის მუშაობა. განზ. სთ.
69	**ექსკავატორის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის თანამედროვე წარმოების "ჯსბ" ან სხვა ანალოგიური ტიპის ექსკავატორის მუშაობა. განზ. სთ.
70	**ავტოდამტვირთველის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის პოსტსაბჭოთა წარმოების ავტოდამტვირთველის მუშაობა. განზ. სთ.
71	**ავტოდამტვირთველის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის თანამედროვე წარმოების "კატერპილერი", "ჰიუნდაი", "XCMJ" ან სხვა ანალოგიური ტიპის ავტოდამტვირთველის მუშაობა. განზ. სთ.
72	**ბულდოზერის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის პოსტსაბჭოთა წარმოების ბულდოზერის მუშაობა. განზომილება სთ.
73	**ბულდოზერის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის თანამედროვე წარმოების "კატერპილერი", "კამაცუ", "დრესტა" ან სხვა ანალოგიური ტიპის ბულდოზერის მუშაობა. განზომილება სთ.
	<u>გზისპირა ნარგავები</u>
74	**ხმელი და ამორტიზირებული ხეების მოჭრა**
	ამ პუნქტში შედის ხმელი და ამორტიზირებული ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა კოორდინატთა სისტემაში (SHP ფაილი) და მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისის მომზადება. ხის მოჭრაზე შეთანხმების შემდგომ, ხის ტოტებისა და ტანის მოჭრა, მერქნული რესურსის შესაბამის ზომებზე დაჭრა (დაფირნიშება) და ტრანსპორტირება. საჭიროების შემთხვევაში ხის ძირის ამოძირკვა და ნაყარში გატანა ნარჩენებთან ერთად. განზ. ცალი
75	**ხის ტოტების გადაბელვა**
	ამ პუნქტში შედის 8 სანტიმეტრზე ნაკლები დიამეტრის ხის ტოტების გადაბელვა და ნაყარში ტრანსპორტირება, 8 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის ტოტების გადაბელვის შემთხვევაში, საჭირო იქნება ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა კოორდინატთა სისტემაში (SHP ფაილი) და მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისის მომზადება. ხის გადაბელვაზე შეთანხმების შემდგომ, გადაბელვის სამუშაოების ჩატარება, მერქნული რესურსის შესაბამის ზომებზე დაჭრა (დაფირნიშება) და ტრანსპორტირება, ხოლო ნარჩენების ნაყარში გატანა. განზ. 1 ხე
76	**ეკალ-ბარდების და ბუჩქების გაჩეხვა**
	ამ პუნქტში შედის გზისპირა ზოლში ეკალ-ბარდების და ბუჩქების გაჩეხვა, ნაყარში გატანა. განზ. $მ^2$
	<u>ზამთრის შენახვა</u>
77	**ზამთრის მორიგეობა**
	ამ პუნქტში შედის საყრდენი პუნქტის მექანიზატორების, მუშების და სხვა პერსონალის მორიგეობის ხელფასი, რაც საშუალებას იძლევა დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოხდეს მათი მობილიზაცია და გაყვანა გზების იმ მონაკვეთებში, რომლებიც თოვლცვენისა და ლიპყინულის გამო მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაწმენდას. განზომილება კაცი/ცვლა (ცვლაში იგულისხმება 12 საათი)
78	**20%-იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა გზის სავალ ნაწილზე ავტომანქანიდან ხელით**

	ამ პუნქტში შედის 20%-იანი ქვიშა-მარილის (ფრაქცია 0-5) ნარევის მომზადება ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა ავტომანქანიდან ხელით. განზომილება ტონა.
79	**20%-იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა გზის სავალ ნაწილზე მექანიზირებული წესით**
	ამ პუნქტში შედის 20%-იანი ქვიშა-მარილის (ფრაქცია 0-5) ნარევის მომზადება ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა მექანიზირებული წესით. განზომილება ტონა.
80	**ქვიშის (ფრაქცია 0-5) მოყრა გზის სავალ ნაწილზე**
	ამ პუნქტში შედის ქვიშის (ფრაქცია 0-5) ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა ავტომანქანიდან ხელით, განზომილება ტონა.
81	**თოვლის წმენდა გრეიდერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა გრეიდერით (პოსტსაბჭოთა წარმოების); განზომილება სთ.
82	**თოვლის წმენდა გრეიდერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა გრეიდერით 150 ცხენის ძალამდე სიმძლავრით ("კატერპილერი", "ჰიუნდაი", "XCMJ" ან სხვა ანალოგიური ტიპის); განზომილება სთ.
83	**თოვლის წმენდა გრეიდერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა გრეიდერით 150 ცხენის ძალაზე მეტი სიმძლავრის ("კატერპილერი", "ჰიუნდაი", "XCMJ" ან სხვა ანალოგიური ტიპის); განზომილება სთ.
84	**თოვლის წმენდა ბულდოზერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა ბულდოზერით 170 ცხენის ძალამდე სიმძლავრით (პოსტსაბჭოთა წარმოების); განზომილება სთ.
85	**თოვლის წმენდა ბულდოზერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა ბულდოზერით 170 ცხენის ძალამდე სიმძლავრით (თანამედროვე წარმოების "კატერპილერი", "კამაცუ", "დრესტა" ან სხვა ანალოგიური ტიპის). განზომილება სთ.
86	**თოვლის წმენდა ბულდოზერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა ბულდოზერით 170 ცხენის ძალაზე მეტი სიმძლავრით (პოსტსაბჭოთა წარმოების); განზომილება სთ.
87	**თოვლის წმენდა ბულდოზერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა ბულდოზერით 170 ცხენის ძალაზე მეტი სიმძლავრით (თანამედროვე წარმოების "კატერპილერი", "კამაცუ", "დრესტა" ან სხვა ანალოგიური ტიპის). განზომილება სთ.

შენიშვნა:

1. პუნქტი 78-87 სამუშაოს ღირებულებაში არ შედის პერსონალის ხელფასი. მისი ანაზღაურება ხდება "ზამთრის მორიგეობის" პუნქტიდან ხელფასისათვის განსაზღვრული თანხებით.

2. ზამთრის პერიოდში კონტრაქტორის მიერ ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზაზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას 4 საყრდენი პუნქტის მოწყობა. შესაბამისად კონტრაქტორის მიერ სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას საყრდენი პუნქტების განთავსების სქემა.

3. "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს ტენდერით გათვალისწინებული საავტომობილო გზების (მათ შორის ხიდების) სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოწოდება, ასევე გზისპირა ზონებში განსათავსებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ მონაცემების მოწოდება. ამასთან ერთად, აუცილებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, სხვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია დაკორექტირდეს ზონაში შემავალი საავტომობილო გზების ჩამონათვალი (ან სიგრძეები) და შესაბამისად, მოხდება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

5. ასფალტობეტონის საფარზე გაჩენილი 1მ^2-მდე ორმოების შეკეთება (ასფალტობეტონით) ანაზღაურების გარეშე უზრუნველყოფილი უნდა იქნას კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ (მათ შორის ზამთრის პერიოდში).

3.3 ალტერნატიული წინადადება არ მიიღება.

3.4 სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

3.4.1 შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

3.4.2 შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობადანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანა.
- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე საგზაო უსაფრთხოების მიზნით დადგენილი წესით, უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შემოფარგვლა მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებებით (საგზაო ნიშნები, შესაღობი მოწყობილობები, მოციმციმე შუქურა „ციმციმა“ და სხვა) ასევე ინდივიდუალური დაპროექტების დამატებითი ინფორმაციის დაფების განთავსება.

3.5 სამუშაოთა შესრულების წესი

3.5.1 სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით.

3.5.2 მიმწოდებელი სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრში“ აკრედიტირებული ლაბორატორიების (შემდგომში: აკრედიტებული ლაბორატორია) მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

3.5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.

3.5.4 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი.

3.5.5 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

3.5.6 მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

3.5.7 მიმწოდებელმა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უნდა უზრუნველყოს მანქანა–მექანიზმების GPS სისტემით აღჭურვა.

3.6 გეოდეზიური ზედამხედველობა

3.6.1 საჭიროების მიხედვით შემსრულებელი თავისი ძალებითა და სახსრებით ჩამოაყალიბებს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

3.6.2 რთული გეოდეზიური გაზომვების შემთხვევაში, შემსყიდველის მითითებით, ეს სამუშაო გადაეცემა მის მიერ მოწონებულ სპეციალიზირებულ ფირმას ან პიროვნებას. შერჩეულ ფირმასთან ან პიროვნებასთან ხელშეკრულების პირობები შესათანხმებელია შემსყიდველთან.

3.7 ნორმატიული დოკუმენტები

3.7.1 მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ტექნიკური და ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად.

3.7.2 ამ პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს სატენდერო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.8 სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

3.8.1 სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟუნრნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

3.8.2 ამ ჟურნალში საზედამხედველო ორგანიზაცია სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

3.8.3 ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

3.8.4 მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.9 სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

3.9.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, სფეციფიკაციებითა და ხელშეკრულების პირობებით.

3.9.2 საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე საზედამხედველო ორგანიზაცია და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.

3.9.3 დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

3.9.4 სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

3.9.5 საზედამხედველო ორგანიზაცია ყოველ თვეს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ყოვეთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მასალებზე არ იქნება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

3.9.6 ყოველი თვის ბოლოს მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს საზედამხედველო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: მიღება–ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ–ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

3.9.7 ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო აკრედიტირებული ლაბორატორიების ადგილმდებარეობის მიხედვით.

3.10 მიმდინარე (მოვლა–შენახვა) და პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა - მექანიზმების ნუსხა:

№	მანქანა-დანადგარების დასახელება	რაოდენობა
1	ბულდოზერი პნევმოთვლებზე	3
2	ბულდოზერი მუხლუხებიანი	4
3	ავტოგრეიდერი	6
4	სატკეპნი	3
5	ავტოამწე	1
6	ექსკავატორი პნევმოთვლებზე	3
7	დამტვირთველი პნევმოთვლებზე	2
8	ა/ბეტონის ქარხანა	1
9	ავტოგუდრონატორი ან ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი	2
10	პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები	2
11	ა/ბეტონის საფრეზი დანადგარი	1
12	ა/ბეტონის დამგები	1
13	სატვირთო ავტომანქანა	3
14	მაღალი წნევით სარეცხი დანადგარი	1
15	ა/ბეტონის საფარის საჭრელი მოტოხერხი	1

3.11 ზონაში შემავალი საავტომობილო გზების ნუსხა

№	გზის დასახელება	მონაკვეთი	სიგრძე
1	2	3	4
შ-15	ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი	კმ 1-157	157.0
შ-18	ალპანა-ცაგერი	კმ 1-22.2	22.2
შ-79	პრომეთეს მღვიმესთან მისასვლელი	კმ 1-2.2	2.2
შ-122	ლენტეხი-ბავარი	კმ 1-24	24
შ-123	ცანა-ზესხო	კმ 1-7	7
	ჯამი		**212.4**

4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ე.ტ. №

ქ. თბილისი **„ “ _____ 2016 წელი**

ერთი მხრივ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** წარმოდგენილი შემდგომში - შემსყიდველი, და მეორე მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„_____“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი პუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA _____) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ **N____ ზონაში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) და პერიოდული შეკეთების სამუშაოების** განხორციელება - შემდგომში სამუშაო;

1.2 **CPV კოდი:** 45233140 - გზის სამუშაოები.

2. <u>ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1 ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს _____.__ (_____ ლარი და ____ თეთრი) ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

2.5 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ზემოხსენებული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.

2.7 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.8 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.9 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.10 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A * (X\%-Y\%)}{70 - 20}$$

სადაც:
Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;
A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;
X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.
Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.11 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.12 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.13 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო ორგანიზაცია) მიერ დადასტურებული აქტი.

2.14 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.15 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

3. <u>სამუშაოს შესაბამისობა</u>

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების, ტექნიკური დავალებით, დეფექტური უწყისით განსაზღვრული პირობებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის, საზედამხედველო ორგანიზაციისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შედგენილი დეფექტური უწყისით განსაზღვრული მოცულობებისა და ვადების შესაბამისად.

3.3 წინამდებარე მუხლში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4. <u>სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1 სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2 ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლო რიცხვში, პერიოდული შეკეთების სამუშაოების შემთხვევაში კი - დეფექტური უწყისით განსაზღვრულ ვადაში.

4.3 მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.4 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი - საზედამხედველო ორგანიზაცია, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5 სამუშაოების წარმოების ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავს შემსყიდველი. მიმწოდებელ ორგანიზაციას შემსყიდველი წერილობით აცნობებს ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირის/ორგანიზაციის ვინაობას.

4.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ პერიოდული შეკეთების სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა N2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“. საექსპერტო მომსახურების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი ორგანიზაცია, თუ წარმოდგენილ ფორმა N2-სა

და საექსპერტო დასკვნას შორის აღმოჩნდება ცდომილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპერტო მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

4.7 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდული შეკეთების სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველსა და საზედამხედველო ორგანიზაციას სამუშაოთა დასრულების შესახებ. საზედამხედველო ორგანიზაცია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

4.8 დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის #1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. <u>მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

5.1.2 სამუშაოს შესრულების ვადაა 2016 - 2019 წლები. სამუშაოების დაწყება განისაზღვრება 2015 წელს გაფორმებული ----- ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხების ამოწურვისთანავე, ხოლო დამთავრება 2019 წლის --------- ;

5.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა უზრუნველყოს მუშახელისა და სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების მობილიზაცია და სამუშაოების განხორციელების დაწყება;

5.1.4 პერიოდული შეკეთების სამუშაოების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველთან და საზედამხედველო ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოს დეფექტური უწყისის შედგენა;

5.1.5 დეფექტური უწყისის შესაბამისად განსაზღვრული პირობებით, დადგენილ ვადაში უზრუნველყოს პერიოდული შეკეთების სამუშაოების განხორციელება;

5.1.6 ყოველი წლის არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების სპეციფიკაციით განსაზღვრული რაოდენობის საყრდენი პუნქტების მოწყობა ზამთრის სამშაოების განხორციელების უზრუნველსაყოფად;

5.1.7 ზამთრის პერიოდში აუცილებლობის შემთხვევაში დაუყონებლივ უზრუნველყოს თოვლწმენდი და ლიპყინულის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება, იქონიოს გზა მუდმივად განვლად მდგომარეობაში, გამონაკლისს წარმოადგენს დაუძლეველი გარემოებების გამო შექმნილი სიტუაცია;

5.1.8 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე გზის კუთვნილების ან ხელოვნური ნაგებობების ცალკეული ელემენტების დაზიანების ან ქურდობის ფაქტების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას, აგრეთვე, საპატრულო ან ადგილობრივ პოლიციას საკითხის შემდგომი რეაგირებისათვის;

5.1.9 უზრუნველყოს ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველის საინფორმაციო სამსახურში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ზამთრის პერიოდში შესაბამისი ინფორმაციის დროულად გადმოცემას;

5.1.10 ყოველი თვის ბოლოს, პერიოდული შეკეთების სამშაოების შემთხვევაში კი - დეფექტური უწყისით განსაზღვრულ ვადაში, წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს - საზედამხედველო ორგანიზაციას შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

5.1.11 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურთან;

5.1.12 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.1.13 ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით;

5.1.14 ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

5.1.15 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

5.1.16 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.1.17 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, ტექნიკური პირობების, მსგავსი

სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად;

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ვადების შესაბამისად.

5.3 სამუშაოთა წლიური თანხობრივი მოცულობები განისაზღვრება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს. წლიური მოცულობებში ცვლილება დასაშვებია გზებზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საჭიროებიდან გამომდინარე ან ყოველი მომდევნო ფინანსური წლის დასაწყისში, წინა წლის დეკემბერში ფაქტობრივად შესრულებული ნაზარდი მოცულობების მიხედვით, რაზედაც გაფორმდება დანართი შეთანხმება ხელშეკრულების მხარეთა შორის.

5.4 სამუშაოების სპეციფიკური ხასიათიდან და შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთი სახეობის სამუშაოს მოცულობა შეცვალოს მეორე სახეობის სამუშაოს მოცულობით - დანართი შეთანხმების გაფორმების გარეშე.

5.5 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად და/ან ძირითადი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, საკონტრაქტო თანხის ამოწურვამდე.

5.6 ყოველი თვის დასაწყისში, ზამთრის თვეების გარდა, მიმწოდებელი და საზედამხედველო ორგანიზაცია ერთობლივად ადგენენ მომავალ თვეში ხელშეკრულებით განსაზღვრულ საავტომობილო გზებზე შესასრულებელი სამუშაოების საპროგნოზო სახეობებსა და მოცულობებს, რომელიც თანხმდება შემსყიდველთან. შეთანხმებული მოცულობები და სახეობები მიმწოდებლისათვის წარმოადგენს მოცემულ თვეში ჩასატარებელ საორიენტაციო სამუშაოებს. ფორს-მაჟორული და გადაუდებელი მოვლა-შენახვითი სამუშაოების შესრულებას მიმწოდებელი ახორციელებს დაუყოვნებლივ, შემსყიდველისათვის შესაძლებლად მოკლე დროში შეტყობინებით. გეგმა პროგნოზით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობები და სახეობები შეიძლება შეიცვალოს საავტომობილო გზებზე შექმნილი სიტუაციების მიხედვით.

5.7 ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

5.8 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია ღამის საათებში უზრუნველყოს მორიგეობა, რათა მისი მიზეზით არ მოხდეს ს/ გზაზე ა/ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება.

5.9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

5.10 არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

5.11 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

6. <u>ფორს-მაჟორი</u>

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომისა და მისი სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

7. <u>პასუხისმგებლობა</u>

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთწლიანი გეგმის ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ერთწლიანი გეგმის საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 წინამდებარე მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირაგასმატეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7.5 მიმწოდებლის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებისათვის, დეპარტამენტისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. <u>ხელშეკრულების შესრულების გარანტია</u>

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. <u>ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

9.4.1 მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

9.4.2 მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

9.4.3 მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

9.4.4 მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

9.4.5 მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

9.4.6 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება წარმოდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა N2);

9.4.7 ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია;

9.4.8 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

10. <u>უფლებების გადაცემა</u>

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11. <u>ქვეკონტრაქტორი</u>

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.2 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

11.3 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.4 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას თავის საკვალიფიკაციო მონაცემებით წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

12. <u>შეტყობინება</u>

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. <u>ინსპექტირება</u>

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების, ვადების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ შერჩეული პირი - საზედამხედველო ორგანიზაცია.

13.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს და საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი კი – ფინანსების მართვის სამმართველოს.

13.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.6 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

14. <u>სხვა პირობები</u>

14.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევასი დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.6 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.8 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. <u>ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2019 წლის ---------- ჩათვლით.

16. <u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12,

საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის N200 122 900.

ხელმოწერა მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

პრეტენდენტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	კომპანიის რეგისტრაციის (დაარსების) თარიღი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა: _____

ბ.ა.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის:

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____(შემდგომში - „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

(ტენდერის დასახელება)

ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.
ამასთან,დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე **(არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა)**, თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი _____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

ინფორმაცია საყრდენი პუნქტების განლაგების შესახებ
ზონა N

საყრდენი პუნქტი №	საყრდენი პუნქტების ადგილმდებარეობა	
	გზის დასახელება და კმ.	დასახლებული პუნქტი

პრეტენდენტის ხელმოწერა: _____

ბ.ა.